79 წუთი გოლის მოლოდინში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 31 მაისი.

"დინამო" (თბილისი) – "შახტიორი" (დონეცკი) 1:0 (0:0).

"დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (ჩივაძე), ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

"შახტიორი": დეგტიარიოვი, იარომჩენკო, ზვიაგინცევი, კონდრატოვი, რუდაკოვი, მიშინი, სტარუხინი, სოკოლოვსკი, რეზნიკი (როგოვსკი), დუდინსკი, საფონოვი.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

ნაწვიმარი მინდორი. ჩამოწოლილი ღრუბელი და რაც მთავარია, ამ ორი ძველი მეტოქის უშეღავათო მატჩების გახსენება, ბევრს აფიქრებინებდა, რომ გუშინწინდელი შეხვედრა მოწინააღმდეგეთათვის ერთობ რთული და დაძაბული იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ ნაწვიმარ მინდორს ფეხბურთელებისთვის ხელი მაინცდამაინც არ შეუშლია, პირიქით, ისინი საკმაოდ ლაღად გაბედულად მოქმედებდნენ. მიუხედავად აუარებელი საგოლე სიტუაციისა, აფორიაქებული გულშემატკივრები გოლს 79 წუთის განმავლობაში ელოდნენ. ეს მატჩი არც მსაჯებისთვის იყო რთული, ვინაიდან, თამაშის სიტუაციით გამოწვეული ორიოდე გამონაკლისის გარდა, ფეხბურთელთა მოქმედება ზღვარს არ სცდებოდა. აღსანიშნავია, რომ ორივე მხარე ზედმიწევნით კორექტულად თამაშობდა.

მასპინძლები გაცილებით უფრო მობილურად, უფრო ტექნიკურად თამაშობდნენ და ბუნებრივია, არავის ეგონა, რომ მათ მეტოქეთა კარის აღება ასე გაუჭირდებოდათ. ამ შეხვედრაში მთავარი სირთულე სწორედ ის გახლდათ, რომ მასპინძლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციები ვერ განავითარეს. სწორედ გადამწყვეტ მომენტებში უძნელდებოდათ თბილისელებს უშუალოდ საგოლე მომენტის შექმნა. სწორედ ამ ვითარებას იყენებდნენ კარგად დონეცკელები და თუმცა არა ხშირი, მაგრამ სწრაფი კონტრიერიშების საშუალებით თბილისელთა საჯარიმო მოედანზე სამშვიდობო განწყობილებას არღვევდნენ. "მყუდროების დამრღვევი" აქ უმთავრესად სტარუხინი იყო, რომელმაც არაერთხელ ჩააყენა მასპინძელთა მცველები და მეკარე გაბელია რთულ მდგომარეობაში. მიუხედავად თბილისელთა შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობისა, შესვენებამდე კარში უფრო ხშირად ურტყამდნენ სტუმრები, ვიდრე მასპინძლები. ამ სიტუაციაში რამდენიმეჯერ საუცხოოდ ითამაშა გაბელიამ. ალბათ ამიტომ იყო, რომ იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. ასეთივე პრიზი მიიღო დეგტიარიოვმაც, რომელიც არამარტო შესანიშნავად იცავდა საკუთარ კარს (განსაკუთრებით მეორე ტაიმში), არამედ საუცხოოდ ხელმძღვანელობდა გუნდის მცველთა მოქმედებასაც.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს. მათს მოქმედებაში იგრძნობოდა მეტი დამაჯერებლობა, გადაცემები უფრო ზუსტი გახდა და, რაც მთავარია, ტერიტორიული უპირატესობა მთლიანად მათს ხელში გადავიდა. თუ პირველ ტაიმში ისინი მხოლოდ ხელსაყრელ პოზიციას ქმნიდნენ და მას მერე ვეღარ ავითარებდნენ, ამჯერად მათ არაერთი ხელსაყრელი საგოლე სიტუაცია შექმნეს. რაც ბოლოს და ბოლოს გოლით დაგვირგვინდა. ეს მოხდა 79–ე წუთზე. ყიფიანის უზუსტესი გადაცემა მ. მაჩაიძემ კარგად გამოიყენა. ზუსტად დაარტყა და სალიდერო მდგომარეობის განმტკიცებისთვის მეტად საჭირო ორი ქულა მოუტანა გუნდს.

ყოველ შეხვედრას თან სდევს ხარვეზი, რომელიც თვით მატჩის მსვლელობაშიც სწორდება ხოლმე. ამის ერთ–ერთი დამაჯერებელი მაგალითი გახლდათ ეს მატჩი. თუ შეხვედრის პირველ ნახევარში თბილისელები ძირითადად ცენტრიდან ცდილობდნენ მეტოქეთა დაცვითი ხაზების გარღვევას და იშვიათად ფლანგებიდან (აქ ძალიან კარგად მოქმედებდა დარასელია), შესვენების მერე სურათი მთლიანად შეიცვალა. საიერიშო მოქმედებები უფრო მრავალფეროვანი გახდა და ამ ძლიერ მასირებულ შეტევებს სტუმრებმა ვეღარ გაუძლეს. ბუნებრივია, ყველა ხარვეზს შესვენებაზე მიცემული დარიგებით ვერ აღმოფხვრი. ზოგიერთი ნაკლის გამოსწორებას საგულდაგულო წვრთნა და ჯაფა სჭირდება. თუნდაც იმ თვისების გამომუშავებას, რომელიც ყიფიანს გააჩნია: დიდებული, გრძელ მანძილზე უზუსტესი გადაცემები, რაც სრულიად ახალ, მეტოქისთვის მოულოდნელ სათამაშო სიტუაციას ქმნის, თანაგუნდელებს სწრაფად გადაადგილების შესაძლებლობას უქმნის. სამწუხაროდ, თბილისელთა უმრავლესობა ამ ტექნიკურ საშუალებას სუსტად ფლობს და ალბათ ამიტომ იყო, რომ დინამოელთა კარიდან მეტოქის კარამდე გადაადგილებას მოკლე გადაცემებით დიდი დრო სჭირდებოდა, და, ბუნებრივია, მათს იერიშებს მეტოქე უკვე მომზადებული ხვდებოდა. და კიდევ ერთი. წინა მატჩებში დინამოელთა დაცვითი ხაზი არც თუ ყოველთვის თამაშობდა უშეცდომოდ. ამჯერად

გამოჩნდა, რომ მცველები ერთმანეთს უკვე შედარებით უკეთ უგებენ და მათს შემდგომ შეთანხმებულ თამაშს უკეთესი პირი უჩანს.

გვიხარია, როცა გაისმის გამამხნევებელი ძახილი “დინამო”, “დინამო”… და მაშინ უფრო მეტად, როცა იგი გამარჯვებული სტოვებს მოედანს.

ჯ. ენუქიძე.
“ლელო”, 2 ივნისი, 1977 წ.